ტარტაროზი

კვირა, 25 ნოემბერი 1928 წ. № 180

ყოველკვირეული ჟურნალი

ფასი 15 კაპ.

# უებარი წამალი

„საშეფო კომისიების მუშაობა ამ წელს [illegible] ძალზე მიძინებულია“.

გაზეთებიდან.

ნახ. ნადარეიშვილის.



—ექიმო, უძილობა მაქვს... თვალს ძილის რული არ ეკარება!

— შეეცადეთ საშეფო კომისიაში აგირჩიონ და შემდეგ ძილის რული კი არა, სა[illegible] ძილიც შეგიპყრობს!..

F-925

ეროვნული

# „შეუდრეკელი“




# კოსტიუმი და კამპანია

შევხვდი მე მას ქალაქის ბაღში.

იგი „ნარკომპროსის“ სტიპენდიანტივით ჩამომხმარიყო და კოვერკოტის კოსტიუმი არც ისე რიგიანად ედგა მხრებში.

მისალმების შემდეგ ერთმანეთისათვის ჯანმრთელობის შესახებ არაფერი გაგვიკითხავს, რადგან ეს — უკანასკნელი საკითხია. უკანასკნელ საკითხის ბედი კი საზოგადოთ ყველა თქვენგანმა იცით, თუ როდისმე დარჩენილხართ საერთო კრებაზე ბოლომდის.

— მმ... გამდიდრებულხარ... ვუთხარი მცირე პაუზის შემდეგ უსიამოვნოდ და უკვე დაშორებას ვაპირებდი, რადგან რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო ძნელად უნდა ელოდე მისგან ხეირს.

— ისე გაგამდიდრა შენმა სალოცავმა... სწორედ ეხლა ვარ ცეცხლში ჩავარდნილი.. მე შენი იმედი მაქვს.. დამეხმარები... გახსოვს, ოთხი წლის უკან მე შენ რომ....

თავდაცვისათვის მოვემზადე; მე კარგად ვიცი, რომ ადამიანს მხოლოდ ორი მტერი ყავს დედამიწაზე: ერთი —საკუთარი თავი, და მეორე— ნაცნობი, რომელიც დახმარებას სთხოვს

— არა, ძმაო!... შენ, შენი გზა... მე—ჩემი!.

(მისი არ ვიცი, ჩემი გზა კი მაშინ სწორედ შრომის ბირჟისკენ მიდიოდა)

მან მკლავში ჩამავლო ხელი.

— მაშინ მირჩიე მაინც რამე... წინდახედული კაცი ხარ... ცხოვრებაში გამოცდილი.::

(ისე აშენდა მისი ოჯახი).

უარი ველარ მოვახერხე. რჩევა ისეთი რამეა, რომლის ფასი არც ისე მაღლა დგას; თუმცა ექიმებს და იურისტებს რომ კითხოთ, მისი კურსი ხუთ მანეთსა და ხუთ თუმანს შორის უნდა ქანაობდეს.

იქვე სკამზე ჩამოვსხედით.

და აი აქ, დიდ ხის ძირში, როდესაც ზემოდან შრიალით ცვიოდენ ყვითელი ფოთლები და ნოემბრის ქარი უგზო-უკვლოდ დააქანებდა მათ იქით-აქეთ, ჩემი მეგობარი მწუხარე ხმით თავის უბედურების მოყოლას შეუდგა:

ყველაფერი მარჯვნით გადახრისაგან დაიწყო. რომ ეს არა, დღესაც ბედნიერი ადამიანი ვიქნებოდი.... სხვათა შორის, ჩემს ყოფილ თანამდებობაზე დღეს გაორკეცებულ ჯამაგირს აძლევენ. ვიქნებოდი ჩემთვის... ვჭამდი... ვსვამდი::: ვივლიდი კინოში. ოპერაში. ოჯახში კიდევ სხვებზე ნაკლებ არ გადავიხდიდი დღეობებს.. სხვებზე ნაკლებ არ შემოვძახებდით „მრავალჟამიერს“, „მადლობელი ვარ“ და სხვას, მაგრამ, ხომ იცი, უბედურება ისე უთვალთვალებს ადამიანს, როგორც გამგე ვაკანსიას თავის ნაცნობ ქალისათვის.. წვრილ-ბურჟუაზიულ მეზობელმა დამღუპა... გახსოვს როგორ აეკრძალათ პარტიულებს კონტრაბანდულ ტანისამოსის ტარება?... აი ეს იყო პირველი მიზეზი... ხომ იცი, სულელს მუდამ უხარია.:: მეც ძალიან გამახარა მაშინ ამ გარემოებამ. ვთქვი, ერთი უპირატესობა ჩვენც გვექნება— უპარტიოებსაც-თქო... ცოლი ხომ ფეხზე აღარ იდგა ერთ ჩვენს მეზობლის უბედურებით.

— ეტირათ ყოფა... იარონ აწი!..

ეს მეზობელი კი ისეთი ჭკვიანი ბიჭი იყო, რომ რამდენჯერაც მოუხდებოდა შავი ზღვისაკენ გამგზავრება, იმდენ ახალ კოსტიუმს ჩამოიტანდა.

ამის შემდეგ გადის ერთი კვირა... გადის ორი.. მეზობელი ცხვირჩამოშვებული დადის.., ჩვენ კიდევ ცხვირ-აწეული.

მესამე კვირაზე ეზოში ხმა გავარდა, მეზობელი ისევ პროლეტარულ ტანსაცმელს უბრუნდება და წვრილ ბურჟუაზიულ კოსტიუმებს ყიდისო.

— კარგი... ვთქვი ჩემთვის, ყიდის... გაყიდის: ხეირი ნახოს. ერთი უბედურებაც ეყოფა... ჩვენ რა?. ჩვენ შემდეგშიაც ვიყიდით, როცა გაიაფდება....

ავიღე ავანსი, ავანსს ჯამაგირი დავადე... ჯამაგირს ნასესხები და ეხლა უკვე, მეზობლის თვალის დასავსებად, ჩვენ დავდიოდით კოვერკოტებში... ბედნიერი დრო იყო... სამსახურში ყველა შურით შემომჩერებოდა. ადგილკომი ხომ გულზე სკდებოდა. რამდენჯერ ჩამოვიდოდა, იმდენჯერ ახედ-დახედავდა ჩემს კოსტიუმს, იმავე

დროს კი სრულებით ყურადღებას არ აქცევდა თავის კოვერკოტის შარვალს... იმდენად ყურადღებას არ აქცევდა,— როცა დაჯდებოდა, ისე ამოიგრეხდა ფეხებს სკამს ქვეშ, რომ შემდეგ მუხლების თავზე შარვალი ბუშტივით ქონდა ამობერილი... ის კი არ იცოდა, რომ მუხლებზე აბრეშუმის სარჩულის დადებაა საჭირო...

— მართლა?... ეს არც მე ვიცოდი!.. გამოვტყდი უეცრად.

— სირცხვილია. თუმცა მეც რომ არ მცოდნოდა, უკეთესი იქნებოდა... და ერთი თვის შემდეგ შემცირებაში მომაყოლეს....

აქ ჩემმა მეგობარმა ისე ამოიხვნეშა, თითქოს მთელი შიგნეულობა თან სურს ამოიტანოსო.*)

— ამის შემდეგ ბევრი ვეცადე გამეყიდა ეს წყეული კოსტიუმი, მაგრამ არავინ ხელს არ კიდებს, ძველიაო...

ვატარებ დღესაც ძალაუნებურად...

— შენ გეცინება... აქ სიცილი კი არა, ტირილია საჭირო... შენ შეიძლება არც კი გამოგიცდია, რას ნიშნავს ასეთ კოსტუმში რიგში დგომა ბირჟის წინ, როცა ყველა ისე მოგჩერებია, როგორც ეფისკოპოზს... მე კი გამომიცდია. და კარგადაც გამომიცდია!..

გუშინ ბირჟიდანაც კი გამომიძახეს, როგორც საეჭვო ელემენტი... და აი დავდივარ ეხლა ასე...

— ამის შემდეგ ბევრი ვეცადე გამეყიდა ეს წყეული კოსტიუმი, მაგრამ არავინ ხელს არ კიდებს. ძველიაო..

მეგობარი დაჩუმდა. მძიმე დუმილი ჩამოვარდა. ზევიდან მწუხარე შრიალით განაგრძობდენ ცვენას ყვითელი ფოთლები და ნოემბრის ცივი ქარი უგზო-უკვლოდ დააქანებდა მათ იქით-აქეთ.

მე ზეზე წამოვდექი.

— მმ.. აბა რა გირჩიო....

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

მეგობარმა ხელი ჩააქნია.

ასე დავშორდით ერთმანეთს.

სინემატო.

*) საეჭვოა, რომ ასეთი სურვილი ჰქონოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეტარების მწვერვალზე ასული გამგე
## ანუ
## ოცნება საკუთარ სურათზე

ნახ. ტაბატაძის,



— რა ამაყი გამომეტყველებაა!.. მართალია, მაღლიდან ვი დამყურებს, მაგრამ ეს ხომ ისევ და ისევ ჩემი „დამსახურებაა“!..

# ზოგი მიღწევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სიხარულს მგვრის ჩვენი მიღწევა,
მე ჩვენს მიღწევებს ვეთაყვანები,
რადგან საბჭოთა მჭედლები გვქვია,
და კომუნიზმის ხელოვანები.

ამიტომ, როცა მესმის, რომ მუშა
ამ თუ იმ ქარხნის გვყავს დირექტორად,
გული უბეში ძალუმად მიხტის
და სიხარულს მგვრის ის ერთი-ორად,

რადგან მიმიჩანს ეს ჩემი კლასის
სასიქადულო მაღალ მოვლენად,
და თვალს ვუსწორებ მტკიცედ მომავალს,
გადაქცეული იმედად, რწმენად,

რომ პროლეტარებს, ჩვენ შეგვძლებია
ქარხნების მართვა თუ ქვეყნის მოვლა,
რომ, მაშ კომუნის გებაც ვით საქმე,
ნაღდი ყოფილა, ნათელი ყოვლად!

ნათელი, როგორც მზე არის ცაში,
მისებრ ცხოველი, მისებრ საქები,
თუმცა ცნობილი არის, რომ მზეზეც
მოსჩანს მცირედი შავი ლაქები.

და მე ლაქების არ მეშინია!
და მე ლაქების არ მერიდება!
რაც ლაქებს იქით ნათელი არის,
ისიც მეყოფა, როგორც დიდება!

მაგრამ დიდება საერთო ფონზე
ხშირად მცირდება ცალკე საგანში
და მაშინ წუთით სჩანს ჩემშიც რწმენა,
ვით დამწყვდეული ხოლმე საკანში!

თუმცა რას ვამბობ? უიმედობას
ამ შემთხვევაშიც კი არ გრძნობს გული
და კვლავ იმედით გავყურებ მერმისს,
ვარ მიღწევებით აღტაცებული!..

გავყურებ იქით, გავყურებ აქეთ,
ვდგევარ რუსთაველის ფართო პროსპექტზე,
და აღარ ვფიქრობ, მიღწევების თუ
დირექტორების მეტზე, არც ერთზე!

რომ უცბათ... ჰოი, ოპერის თეატრს
იქვე შევავლებ შორიდან თვალებს:
— „აი მიღწევა სად იმარხვის"-თქვა!..
და ვქვრეტ მიღწევის ყველა მწვერვალებს!..

მე „იმარხვის-თქვა" ვამბობ იმ აზრით,
რომ მართლაც აქ სჩანს, თუ სჩანს მიღწევა,
თორემ სხვა ადგილს, მესმის, თუ ზოგჯერ
მოვლილი საქმეც როგორ იქცევა!

მე, მაგალითად, ვიცი ქარხანა
თუ, ქარხნის გარდაც,—ზოგი ორგანო,
სადაც მყოლია, ვსთქვათ, დირექტორად
წარსულში მუშა, კაცი—ზოგანო.

მახსოვს, თუ როგორ შეცვლილა იგი
კეთილს ყოფაში, ვით დირექტორი:
უჩნდა სალარო, ვით თავის ჯიბე,
და ურევია იმაში ტორი...

ტორი რა ტორი? იყო ნიჩაფი,
და თითქოს გემით ზღვას მისცურავდა,
ისე უსობდა ტორს სალაროში,
რომ ხშირად სიმწრის ოფლს იწურავდა...

და სიმწრის ოფლშიც გასწურეს მართლაც'
ასეთი არა ერთი—ორია,
ნახეთ გამსახლი, სადაც ყოფ[illegible]
ახლაც რამდენი დირექტორია!..

და მე დირექტორს სულ არ ვემდური,
ვინც გამსახლს არჩევს ხოლმე ქარხანას,
მე მხიბლავს ის, ვინც დირექტორებზე
გადაჭარბებით ზრუნავს ამ ხანად!

მეც, ამ გაგებით, ოპერის თეატრს
დიდ მოწიწებით ვსცემ შორით თაყვანს,
რადგან უზომოთ აქ დარწევია
დირექტორების მრავლდების აკვანს!..

იყო თქმულება ამ სახლზე ძველად,
რომ კლასობრივად იგი სუსტია,
თუმც არშიყობა იქ, კლასიკური,
ჩვენში ბევრს ვისმე გამოუცდია...

ითხოვენ მისთვის ქანქრის მიკლებას,
იმავ მიზეზით და იმ გაგებით,
ამავ სახსართა, უფრო ნაღდ მიზნით,
სული ჩაედგმის—მითქვამს—ამ ფულით!..

აზრი კეთილი იყო და საღი,
და მის ახდენას ველოდი გულით:
— ეჰ, რამდენს ხალას კულტურულ საქმეს
სული ჩაუდგამს—მითქვამს—ამ ფულით!..

მებრალებოდა მხოლოთ თეატრის
მე დირექტორი ნაკლების თანხით,
გარს შემორტყმული ძველი ვალებით
და მოთეატრე იმავე ხალხით!

მაგრამ რას ვხედავ? იგი კი არა,
მე თვით ვყოფილვარ შესაბრალისი:
თურმე ოპერის თეატრში არის,
დირექტორობის თუა ხალისი!

და სანდრო ეულს, სჩანს, მიუქარავს,
როცა ამ თეატრს დაწვა უსურვა,
როს დირექტორი თურმე არტისტკებს
ყელზე იხვევდა, როგორც უსურ ვაზს!

აქ არ იცოდენ „ნოტი", „რეჟიმი"
თუ დაზოგვაში უდიერება,
აქ სათნოება სუფევდა ქალთა
და კაცთა შორის ბედნიერება!

და თუ წარსულში არ აკლდა თანხა,
აძლევდენ ფულებს თავზე საყარად,
ერთს სჯერდებოდა მაინც დირექტორს,
თუნდ არტისტკებიც ხვეოდა ჯარათ!

აქ ეს დაზოგვაც ცის წყალობაა,
მიუხედავათ ბედოვლათობის
და რომ არ მუშურ იდეოლოგი
იყო საგანი უცხო გართობის!

და მაინც ფიქრი მე ამ თეატრზე
ახლაც არ მტოვებს: არც დღით, არც ღამით:
მებრალვის ხალხი იქ დატვირთული
არშიყობით თუ გართობით, ჭამით!

იდეოლოგათ რომც არ შევზომო,
მე ფიქრით თავზე ველევი ამას.
თუ დღეს, როდესაც ქანქარს მიუკლეს,
არ მოიკლებენ როგორ-ღა ჭამას?!

თუ პირობებში ერთ დირექტორის
გაართვეს თეატრს იქ სალავათი,
დღეს რა მოუვა, როს დირექტორი
მას გააჩნია, მგონია, ათი?!

ჰაზირა.

# „პატარა“ უსიამოვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყლის ფულზე ერთი კაპიკის დაკლების გამო



„სიუხვე“

ნახ. დონის.

— როგორ საოპერო თეატრის დირექტორებივით შემოგმრავლებია გარშემო ეს ქათმები?

— ჰმ! ხომ გაგიგონია: „სადაც ქათმები ხშირიო, იმ ადგილას კვერცხი ძვირი“-ო.

# მოგზაურობა ტრამვაით

## (მგზავრის შთაბეჭდილება)

იქნებოდა დილის 7 საათი, როცა ნაძალადევის ერთ-ერთი ქუჩიდან გამოვედი და სამსახურისაკენ გავეშურე.

ის პოპულარული გადასაზიდი საშუალება, რომელსაც ტრამვაის ეძახიან, ნაძალადევშიაც მოიპოვება და ფართოდ ემსახურება ლენინის რაიონის ფართო მასებს. აქაური მცხოვრებლები დღეში რამოდენიმეჯერ დაინახავენ ხოლმე ტრამვაის და ჰათი გული სიხარულით ივსება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგანაც ტრამვაის ვაგონების რიცხვი იმდენად მცირეა, რომ მოსახლეობა ხშირად საათობით მოელის ვაგონებს.

დილის 7 საათზე, ცხადია, არ არის იმედი, რომ თავის დროზე მოგივა ვაგონი და სამუშაოზე წაგიყვანს, მაგრამ წესი მაინც დავიცავი და დაველოდე.

ვიცადე ოცი წუთი. ვაგონი არ ჩანს.

ვიცადე ოცი წუთი.

ვიცადე ნახევარი საათი.

ვაგონის ჭაჭანებაც არ არის.

ვიცადე საათი.

თითქოს ტრამვაიმ დღეს მუშაობა შეაჩერა.

8 საათი შეიქნა. დამაგვიანდა.

— ისევ საკუთარი ორთქლმავლით ჯობია! — ვიფიქრე და გაუდექი გზას.

არ გამივლია ოცი ნაბიჯი, რომ ვაგონი დამეწია. დამეწია, მაგრამ რა! მგზავრები ერთი - მეორეზე ისხდენ და ისე მიდიოდენ. მიმატებაზე ფიქრიც დროის დაკარგვა იყო.

8 ნახევარ საათზე რკინისგზის სადგურთან ვიყავი.

— სრული ნახევარი საათია სამსახურის დაწყებამდე. ამდენივე დრო უნდა თავისუფლების მოედანზე მისვლას, სადაც ვმსახურობ! — გავიფიქრე მე და ტრამვაის დაველოდე.

ჩემთან ერთად ვაგონებს ელოდებოდა 200-მდე მგზავრი.

მოვიდა ერთი ვაგონი, მაგრამ როგორც იტყვიან, სულს ძლივს ითქვამდა, ისე იყო მგზავრებით დატვირთული.

როგორც იქნა, შევედი. ჩემთან ერთად, მგზავრებით დატვირთულ ვაგონში ოციოდე მგზავრი შემოვიდა. მართალია, შემოსასვლელი ადგილი ალაგი იყო, მაგრამ, წინ მდგომი ხალხი მექანიკურად მიიტკეპნა.

40—50 მგზავრის ნაცვლად ვაგონში ასამდე კაცი იქნებოდა. ვაგონი დაიძრა.

— აბა ბილეთები! — სადღაც ვაგონის თავში გაისმა კონდუქტორის ხმა.

ხუთი წუთის შემდეგ ისევ იმ ადგილიდან ისმოდა იმავე კონდუქტორის ბრაზმორეული ხმა.

— ბილეთები-თქო, ბილეთები!

— მიდი, ძიაო, მოგვეცი კამჩატკიდან რაღაც იძახი!

— როგორ მოვიდე გზა რომ არ არის? — სასოწარკვეთით გვიპასუხა კონდუქტორმა.

მართლაც, მისი მდგომარეობა კატასტროფიული იყო: ვაგონი ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ ჩვეულებრივი კონდუქტორი კი არა, გოჭიც ვერ გაძვრებოდა შიგ.

— იზვინაუს... გაწიშვით პაჟალუსტა, ბილეთები გამაყიდვინეთ! — ეხვეწებოდა კონდუქტორი ხან ერთ მგზავრს და ხან მეორეს.

— საიდან გაგიშვა, შე კაცო, ლა-

# „ყურძნის“ მოყვარულნი ქვირფასეულობის „ღოზის“ პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მარიაშის.



თვალს—ხილვით ტკბობა, გულს—ნეტარება,
მხოლოდ მათ „კბილი“ ვერ ეკარება.

მის არაა მეც გამჭყლიტონ?! —უპასუხებდენ სულშეხუთული მოქალაქენი.

კარგა მანძილი გავიარეთ.

კონდუქტორის ხმა ჩაუწყდა და ხრინწიანი ხმით გაიძახოდა:

— ხალხნო, გამიშვით, ბილეთი უნდა გავყიდო! კონტროლმა რომ ჩამოიაროს რას პასუხი უნდა გავცე?

— რის კონტროლი, კაცო, რომელი კონტროლი შესძლებს აქ თავის შემოყოფას, ვერ ხედავ ადგილიდან ვერ იძვრები?

— გასაჩერებელ ადგილებთან, ვაგონის დაძვრისას ხშირად ისმოდა მგზავრების ხმა:

— კონდუქტორ, გააჩერეთ, მე აქ უნდა ჩამოვხტე!

— ჩამოხტი, ამხანაგო, მე ხომ არ გიშლი?

— კი, მაგრამ როგორ ჩავიდე — შეკრული ვარ?

— რა ვქნა, მე თქვენ შეკრულობას როგორ მოვეშველო? ხომ ხედავთ ბილეთიც ვერ გაყიდვინეთ! — ეხმაურებოდა თითონაც შეკრული კონდუქტორი მას.

— პარდონ... იზვინიაუს... უკაცრავად! გამიშვით თუ შეიძლება! — იხვეწებოდენ ჩამომსვლელები, მაგრამ ამაოდ: ისინი იძულებული იყვენ დაეცადათ ვაგონის შეთხელებამდე, რის გამოც მრავალი მათგანი კირკის კუთხემდე ამოვიდა (რასაკვირველია, უბილეთოდ).

მიუხედავად იმისა, რომ ვაგონი გაჭედილი იყო, ხალხი მაინც გვემატებოდა. ზოგი საფეხურებზე ეკიდა, ზოგი ვაგონის უკან სალტეებზე იყო შემომდგარი.

— ნულარ მოდიხართ... ნეუჟელი ვერ ხედავთ: ვაგონ ბიტკამი ნაბიტო! უყვიროდა არაქათ გამოლეული კონდუქტორი.

კირკის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში, რომ ჵიველით, ათიოდე მგზავრი კიდევ მოგვემატა რალაც მანქანებით და გავსწიეთ.

კონდუქტორი თითქოს მიყუჩდა. ალბად ძალა გამოელია ყვირილით.

ელბაქიძის აღმართი ავიარეთ.

— უ კავო დო ზემელია ბილეთ! —გაისმა კონდუქტორის ხმა. ალბად თავის დასამშვიდებლად თუ იძახოდა, თორემ კარგად იცოდა, რომ მგზავრების 90 პროცენტს ბილეთები სულ არ ქონდა შეძენილი.

„ზემელთან“ ვაგონი თითქმის დაიცალა.

— ეს არის მოძრაობა? — ამბობდა ბრაზმორეული კონდუქტორი,— სადგურიდან აქამდე ათი ბილეთი არ გამიყიდია.

— რატომ უშვებთ ამოდენა ხალხს?

— რატომ უშვებთ? ჩვენ ვინ გვეკითხება? მოდიან, თავისით ჵოდიან.

— კი, მაგრამ ხომ არის დადგენილება მგზავრების რიცხვის შეზღუდვის შესახებ?

— არის, მაგრამ...

იქნებოდა დაახლოებით 10 საათი, თავისუფლების მოედანზე რომ მივედით. ნახევარი საათის ნაცვლად ვაგონს საათნახევარი დააგვიანდა.

— დიდი მასაჟისტები არიან ეს მგზავრები! — ხუმრობდა კონდუქტორი და დაზელილ გვერდებს ისწორებდა.

ალლარ-ალლარსან.

# კონკურსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ფოჩხუა



გამოუნახეთ ამ ოთხს სურათს სათაური და ისეთი წარწერები (ტექსტი), რომ მიიღოთ ერთი მთლიანი ამბავი (მოთხრობა). თვითეულ სურათს ტექსტი უნდა ჰქონდეს დაახლოვებით 1-10 სტრიქონი. (შეიძლება ლექსადაც), ავტორს უფლება აქვს სურათები გადანაცვლოს, ე. ი. ადგილები შეუცვალოს.

ორ მოწონებულ ავტორს ჯილდოთ უფასოდ გაეწერება გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“ მთელი 1929 წლის განმავლობაში.

კონკურსის შედეგი გამოცხადებული იქნება 23 დეკემბერს „ტარტაროზი“-ს 184 ნომერში. ამოსჭერით სურათები, დააწებეთ ქაღალდზე და გაუკეთეთ წარწერა. კონვერტზე დააწერეთ: „კონკურსისათვის“.

წერილზე უნდა იყოს სწორი მისამართი და ავტორის პროფესია.

# ძირულა

ვხედავ ძირულას გორაკებს შორის
მორთულს, მოკაზმულს, აყვავებულსა.
სად ჩხერიმელა მიჰქუხს, მიშხუის
ახალ ხიდს ვხედავ ზედ აგებულსა.
წყალში არავინ აღარ ვარდება,
ფეხს არ იტეხენ, მისრიალობენ;
წინედ თუ კაცი ვერ გადიოდა,
ეხლა ურმები მიჭრიალობენ.
ლაშესკენ გზები გაკეთებულა
ასრულდა ხალხის დიდი ხნის ნატვრა.
(სიხარულისგან სამაყარიჩოდ,
ოი, რამდენი გახსნის დღეს დათვრა?!)
შრომამდე ეტლი და ავტო დაჰქრის,
ერთმანეთს აღარ ეჯახებიან.
ისე ფართეა გზა, რომ რვა კაცი
ერთი მეორეს არ ეხებიან.
აგებულია ახალი ჰიდრო
(გადაუგდიათ „დინამო“ ძველი).
ქარხნის მუშები მადლიერია
ჰყავთ საყვარელი ქარხნის მმართველი.

შვიდწლედში საქმე მოგვარებულა,
აქ რევიზიას კბილი გაუკრავს.
წყვილად ცოლ-ქმარი რომ მსახურებდა
აი, იმათთვის ბარგი აუკრავს.
წარმოდგენები იდგმება ხშირად,
სხვა დაბებს ვსჯობნით ყველას ამაში.
კულტმუშაობა ღვივდება კიდევ,
არის: სიმღერა, ცეკვა, თამაში...
ამას რომ ვხედავ გული ხალისობს,
მეც გადავედი, დავიწყე ცეკვა...
მაგრამ, ვაიმე! რა ამბავია
ცემენტის პოლზე ვადინე ბრეგვა.
გამომეღვიძა. თვალები ვჭყიტე.
სადგურში ვიყავ... და იყო დილა.
ფუი, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი,
ეს ყველაფერი ძილში ყოფილა.
ისმის კასასთან გლეხის ჩივილი:
„ხურდას დამაკელ, დაო, შაური!
ქუდმოგლეჯილი გავარდი გარედ
და მივატოვე აურ-ზაური.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ მხოლოდ „პერსპექტივებში“

ნახ. ნადარეიშვილის.




„რაციონალიზაციაქმნილი“ დაწესებულება

# „მარკის ფული“

პოეტებმა და სტუდენტობამ გამაძვრეს ტყავი, რუსთაველის პროსპექტი ჩემთვის ეშაფოტათ გადაიქცა. თავისუფლად ველარ გამივლია.

კაცო მე ვარ დამნაშავე, რომ ისინი პოეტები არიან! არა, გეკითხებით მე რა დავუშავე პროვინციელ მამებს, რომლებიც თავიანთ შვილებს უნივერსიტეტში აგზავნიან!?

გავიხედავ მოდის თმა-გაწეწილი, თითქო ბოდლერი იყოს ან რემბო (მილიარდი რომ მისცე ქუდს მაინც არ დაიხურავს) შემხედავს და გაეხარდება.

— წუხელის დავსწერე ეს ლექსი მეტყვის ჯერ და დაიწყებს შუა ქუჩაში დიდის პათოსით კითხვას. უკანასკნელ სტრიქონებს ორჯერ გავამეორებინებ, (ვითომც ძალიან მომეწონა) და შევსძახებ: „დიდებულია, ნამდვილი პოეტური განცდით დაწერილი“.

მაშ რა გეგონა.. ეს კიდევ რა არის ერთი პოემა დავსწერე ამ დილაზე ღმერთივით, გინდა წაგიკითხო?

— არა შენი ჭირიმე, თუ ძმა ხარ ნუ წაიკითხავ, გენდობი კაცო, შენ ცუდს არ დაწერდი (თავის სიცოცხლეში არაფერი — დაუწერია კარგი). სად გინდა დაბეჭდო, ეხლა ეგ პოემა? — „თითქმის ვედრებით ვეუბნება მე.

— ბევრი მეხვეწება მაგრამ არ ვაძლევ დასაბეჭდათ, სახელგამი წინდაწინ ავანსათ მაძლევს 300 მანეთს.

დავიღუპე აშკარად. სულ იმას ვსცდილობდი, რომ საუბარში ფულზე არ ყოფილიყო ლაპარაკი, ვიცი არ გამიშვებს თუ „მარკის“ ფული არ გამომართვა. მერე თქვენ გგონიათ, უბრალო „წერილებს“ აგზავნის ასეთი ხალხი? 18 კაპეიკიანი „მარკა“ თუ არ დააკრეს ისე არ იზამენ.

— კაცო, ქუთაისში წერილის გაგზავნა მინდა, ხომ იცი ეხლა ფოსტა რა მამაძაღლობას ეწევა, დაზღვეული თუ არ გავგზავნე, ისე არ მიუვა.. კონცერტის და ქაღალდის ფული ქე მაქვს, ახლა ერთი 18 კაპეიკი უნდა მასესხო შენ.. ხვალ დაგიბრუნებ, — ასე თავდება ყოველთვის ჩვენი საუბარი რუსთაველის პროსპექტის პოეტებთან და სტუდენტებთან. მიხარია, რომ მეტს არ მთხოვენ, ვილებ, 18 კაპეიკის ნაცვლად ვაძლევ აბაზიანს **(კარგად ვიცი, რა წერილის გაგზავნაც უნდათ, მაგრამ პირში მხილებას ვერიდები ჯერ-ჯერობით).**

დიპლომატიურად იქცევიან. სწორედ იმდენს გთხოვენ, რომ უარს ვერ ეტყვი. კაცს წერილის გასაგზავნათ 18 კ. უნდა, რა პირით ეუბნები უარს... უბედურობა იმაშია, რომ დღეში 20-ჯერ მაინც მიხდება „მარკებისათვის“ ფულის გაცემა.

— კაცო, ეს სახელგამი პირდაპირ დასაწვავია, — ასეთია ყოველთვის მისი პირველი სიტყვები მოსალმებისა და ხელის მაგრად ჩამორთმევის შემდეგ.

— როგორ ბიჭო.

— გელაპარაკები დასაწვავია... რაღაც 600 მანეთი გერგება. კაცი პიესას ვთარგმნი, სამი თვეა მაწვალებენ და ფულს ვერ ველირსე. სინდისს გეფიცები **(რომელ სინდისზე ლაპარაკობს არ ვიცი)** დღეს წერილის გაგზავნა მინდოდა და მარკის ფული ვერ სად ვიშოვე.

ამ სიტყვებს ისეთი კილოთი ლაპარაკობს ჩემი მოსაუბრე, თითქოს მართლაც სახელგამზე გაჯავრებულიიყოს, ნამდვილად კი მაგრძნობინებს, რომ მას „მარკის“ ფული ესაჭიროება“ ვიცი თავს ვერ დავაღწევ, მაგრამ მაინც ვეუბნები:

— ეჰ, არ ღირს ცხოვრება ჩემო ძმაო, მართლაც, რომ დასაწვავია ეგ სახელგამი... სხვა როგორაა შენი საქმე, წიგნს აღარ სცემ კაცო? ამას წინად წავიკითხე შენი ლექსი, მალადეც, ნამდვილი განცდით იყო დაწერილი, — სიტყვას ბანზე უგდებ, მაგრამ არ შეგჭამოთ ტარაკანამ!

გავცდი ერთი საათი. არაფერი გამოვიდა, ვაძლევ აბაზს „მარკისათვის“.

კიდეც რომ ტყუილებით მბრევას! ვიცი რა შვილიც არის და რა 600 მანეთიც ერგება სახელგამიდან. პიესა ვთარგმნეო, საიდან უნდა გადმოეთარგმნა, როდესაც სხვა ენაზე რომ დედა შეაგინო, გამომცემლობას მეტყვის*).

ჯამაგირის აღებას ხომ სუნით გაიგებენ. რუსთაველის პროსპექტზე გავლის შიშით ხშირად შორი გზა მომივლია, რომ შინ მშვიდობით მივსულიყავი.

— გაბაშვილის ქ. ვცხოვრობ, ზემელთან ახლოს არის, მაგრამ თავისუფლების მოედნიდან ვორონცოვის ხიდზე გავსულვარ. შემდეგ ვერის დაღმართი ამივლია და ისე მივსულვარ სახლში. კარებზე აუცილებლად დამხვდებოდა ბარათების მთელი გროვა:

— **„დღეს ვიყავი შენთან და არ დამხვდი, გამოდი რუსთაველის პროსპექტზე“.** ასეთი შინაარსისაა ყველა **წერილები.**

ერთხელ ასეთი ბარათი დამხვდა:

— **„რას დაერთევი კაცო დღედაღამე. დღეს სამჯერ ვიყავი შენთან... გამოდი რუსთაველის პროსპექტზე“.**

რამ გააჯავრა ამ ბარათის ავტორი, მაგრამ არ ვიცი, შეიძლება „მარკის“ ფული უნდოდა.

როგორც ხედავთ ყველა წერილების დაბოლოვება ასეთია: **„გამოდი რუსთაველის პროსპექტზე“.** დროს არ მინიშნავენ და ეს გასაგებიცაა, რადგან ისინი ყოველთვის რუსთაველის პროსპექტზე არიან.

რა ჩემი ბრალია, რომ ისინი „პოეტებად“ დაიბადენ და არა წესიერ ადამიანებად.

თავქარიანი.

---

*) ეს კი ცოტა მეტი მომივიდა; დედმამის გინება მათ ყველა ენაზე მშვენივრად ეხერხებათ.

---

## ლევარსის გამოგონება

ნახ. დონის.



ლევარსიმ გამოიგონა ავტომატი, რომლითაც დაძინებული მდგმური გაიგებს ოთახში ქურდის შემოსვლას, (კარზე მიმაგრებულია ხუთ ფუთიანი გირი, რომელიც კარის გაღებისას ეშვება დაძინებულის თავზე და აღვიძებს მას).

# საჭინჭახის-თეატრი

„აპრუწუწუნ შენს საქმეს“ —პიესა ესტატე ბურძლალიანის.

დადგმა:— ს. ბრუტიანის, გადმოდგმა— ი. ხუხიანის, გადახალისება— ვ. კუხიანის, შესწორება— ა. გვიზიანის, მონტაჟი— პამპალუკ - პამპალიანის, მუსიკა — ა. გიტარიანის, ბალეტი — ი. კისრიტეხიაშვილის, განათება — ხლაფორთიანის, გაჩალება — ჩაქრობიანის, კოსტიუმები — თავხურიანის, დეკორაციები — მხ. დადლლაბიანის.

ვინ არ იცის, რომ პიესა ჩვენი ცნობილ მწერლის ესტატე ბურძლლიანისაა. იგი გამოცემულია სახელგამის მიერ, რამაც დიდათ ასიამოვნა, როგორც ავტორი, ისე დამსწრე საზოგადოებაც. ამ პიესაში მოცემულია ხალხის რევოლიუციონურ - ემაციონალური და ინტერნაციონალურ - სპეციალურ - სპეციფიური სულისკვეთების გათვითცნობიერების დინამიკა. აპიტომაცაა, რომ ამ პიესის დადგმა აპრიორულად დიდ ინტერპრეტაციას მოითხოვს და მისი ინსცენიროვკის მთავარი კონცენტრაცია ანტისიმპატიურ სიმპატიების ცენტრში გროვდება. სწორედ ეს ცენტრი არის ამ პიესის გმირების სულის-კლაპიტონის კოოპერაცია, სადაც ნათლად გამოსჭვივის სიმულიაცია და მამაკაცთა ემანსიპაცია. სწორედ კარგად შეუთვისებია ეს გარემოება მსახიობ სოსო ხვანცარიას, რომელიც შვენიერია ყველაფრით და უნაკლო აგებულობის მხრივ. მისი ხმა იმდენად ძლიერია და ნაზი სიყვარულის სცენაში, რომ ძალაუნებურად თითს გაირჭობთ ყურებში.

მშვენიერია, აგრეთვე, ცუცუნია კატუნიძის ქალი (კუხარკა), რომელსაც მშვენიერი სახე და განსაკუთრებით ლამაზი თვალები აქვს. მან თავისი პრუწვა-თამაშით სრულიად დაიპყრო აუდიტორია და განსაკუთრებით მამაკაცები. მისი ხმა ოტელოს ხმასავით ნაზია, ისეთი ნაზი, რომ პირველ რიგშიც კი არ ისმის. ეტყობა, რომ ძლიერ განვითარებული აქვს ხმის ტეხნიკა. კარგია პაპუნა ბუშტაძე ჩინელ ოფიცერის ხარა-ხურას როლში. მისი არაჩვეულებრივი ტანი ინგლისელ მამლაყინწასავით მშვენიერი და მომხიბლავია.

ლამაზად ასრულებს მეზღვაურის როლს გაბო ბუთქაძე. მისი ხმა ნამდვილი ურაგანია და გამოხედვა ციკლონი. ტანის მიხვრა-მოხვრა და მიმიკა ფსიქოლოგიურად გამართლებულია. კარგი იქნებოდა ჩერკესკა სცმოდა ტანზე, რომ ამით განსვენებულ მენშევიკების დრედნოუტ „ტარიელას“ მეზღვაურს დაემგვანებოდა და ზოგიერთებს გულს გაუხარებდა.

კარგი იყო ქიჭიკო ბზიკაძეც. არა უშავდა ვანიჩკა ბუაძეს. ლამაზი იყო ნინუცა კოხტიაშვილის ქალი. უნაკლო — ნატაშა კვატაშაძე. თავის ადგილს იყო ლიზიკო პეპპულია.

კარგები იყვნენ აგრეთვე დანარჩენებიც და დანარჩენების მიმყოლნიც.

ლამაზად შესრულებულია დეკორაციები მხატვარ დადლლაბიანის მიერ. ნახატები კარგი ხარისხის ფერებითაა დახატული. დადლლაბიანის ხატვის სტილი პიფაგორეს თეორემას წააგავს და არხიმედის ფანტაზიითაა შესრულებული. კარგი იქნებოდა, რომ მე-3-ე მოქმედებაში ტყის ილუზია მოცემული ყოფილიყო არა ბურთის მსგავს ფიგურებით, არამედ ხეოფსის პირამიდის მსგავსად.

ალფეზა გიტარიანის მუსიკა ერთობ კარგადაა დაწერილი. ა. გიტარიანი კარგი ლოტბარიცაა. მისი ხელების ქნევა არწივის ფრთების ფრიალს მოგაგონებთ და მისი მუსიკა ორბის წივილს (ალაგ-ალაგ ხბოს ბლავილს). კარგადაა შეზავებული მეორე მოქმედებაში არლნის მელოდია და ბალეტ „მომაკვდავ ბატის“ მუსიკა, რომელიც ხელოვნურად ამოღებულია სპარსულ კომპოზიტორ ჰერბარტ ჰაუპტმანის ნაწარმოებიდან.

მშვენიერია ბალეტი. დედაკაცების ფავლური მთვარიან ღამეში კარგადაა დადგმული. კარგია აგრეთვე ცეკვა კრეისერზე, სადაც მოცეკვავენი ცალი ფეხით ასრულებენ ცეკვას. ასეთი ფუტურისტულად იდგმება სცენაზე, რაც ამხ. კისრიტეხიაშვილის დიდი ნიჭის შემწეობითაა მოცემული ფუტურ - ექსპრესიონისტული სტილით გადაკვარახჭინებული.

კარგი განათებულია სცენა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხ. ხლაფორთიანს დიდი უნარი და მიღწევა გამოუჩენია სინათლის ეფექტების მოცემაში. ელექტრონის სინათლის ტეხნიკა იმდენად გაუმჯობესებულია ხლაფორთიანის მიერ, რომ ის რამოდენიმე ელექტროლამპას ერთბაშად აქრობს და ერთბაშად ანათებს.

დაბოლოს, უდიდესი და უსაზღვრო მადლობა სუფლიორ ამხ. ღრიალიძეს, რომელიც შესანიშნავი იყო თავის როლში, მისი ხმა იმდენად მშვენივრად და მკაფიოდ ისმოდა, რომ თვით ქანდარამდეც კი აღწევდა. განსაკუთრებით მადლობელი დარჩენ ამხ. ღრიალიძის მსახიობები, რომლებიც ამხანაგური ვახშამით გაუმასპინძლდენ მას სპეკტაკლის შემდეგ.

დაბოლოს საზოგადოებამ დიდი ოვაციები გაუმართა დამდგმელს და მონაწილეთ.

წარმოდგენა გათავდა დილის 4 საათზე. სასურველია ასე ადრე თავდებოდეს წარმოდგენები ყველგან.

**გამოცდილი რეცენზენტი.**

---

ნახ. კ. მიქაბერიძის.



**ალხაზიშვილი:**

— შემდეგი ჩემი ოცნება კინო-რეჟისორობაა!

## ხ უ ნ ჭ უ ლ ო უ რ ი

**ბოროტებას** ველარ დავეფარები.
უნდა ვნახო ეკლესიის კარები.
იცი, ძმაო, საქმე არის ამაში—
მუდამ არის იქ კარტისა თამაში.
ამ საქმესა უჭდა ჩემგან მხილება...
ხშირად არის მათში განხეთქილება;
მასთან არის: ჩხუბი, აურ-ზაური
და ჰყვირიან: „შენ დამაკელ შაური!"
**სანიტკომსა** მსურს ვუმღერო ნანაო;
აქ არ არის აღარც ერთი კანაო,
არხი არ გვაქვს და ვცურაობთ წყალშია
ტბები არის ყველგან გზების კვალშია
ველარ გახვალ, თუ არ გექნა ნავია
თქვენ კითხულობთ: „ეს აქ რა ამბავია?"
**ალექსანდრეს** სერაპიონ სჯობია.
(თუმც ორივე არის სოფლის ობია).
მევახშეა და ვერ სძლევენ ერთმანეთს,
რომ თუმანზე ღებულობენ ერთ მანეთს.
ორივეს ჰყავს უსტაბაშათ კოლია,
ამ საქმეში რომელს არ ჰყავს ტოლია.
ალმასკომო, სჯობს ალაგმო ყველაო,
რომ მიეცეს სოფელს მათგან შველაო.

„ცხრათვალა".

## კითხვა-პასუხი

### ს. ოზჩისათვის.

კითხვა:—რა უფრო გრძელდება ქვეყანაზე?

პასუხი:—მიხ. ბურჯანაძის გალსტუკი და ჩვენი კედლის გაზეთის წერილები.

— მასწავლებელ ვარდანიძემ რა ახალი აღმოჩენა მოახდინა საქართველოს გეოგრაფიაში?

— მან მოწაფეებს აუხსნა და შეასწავლა, რომ მტკვარი გამოდის კასპიის ზღვიდან და ჩადის შავ ზღვაშიო.

კითხვა: — ვის არ მოსწონს ობჩაში თვითკრიტიკა?

პასუხი:—მანაველ ურჩაძეს. სხვამ რომ „უშნოდ დააცხინკოს", მაშინვე კედლის-გაზეთში გასწერს. თვითონ მან კი მოწაფეებს წელი მოსწყვიტა ნალიაში სიმინდის „ჩანთვრით" (უცხო სიტყვაა და ნიშნავს ზიდვას).

### სვირისათვის

კითხვა:—რას უჩნდება ქაფი?

პასუხი:—თუ კაცი მოინდომებს — ყველაფერს. მაგალითად: წელს „ჟამსა სურსათვის კრიზისისა" კოოპერატივის გამგემ ჩიტორელიძემ ქაფი გაადინა 40 ფუთ სიმინდს.

— რა უფრო ხშირად იცვლება ჩვენს რაიონში?

— მილიციის უფროსები, რის მიზეზიც არის: „ღვინო, დუდუკი... ქრთამები". (თუმცაღა, უკანასკნელად, ვაჭარაძეს აჯამეთის მუხებიც კი გაეჩხირა ყელში).

„ოზჩინსკი"

## ს. მატანი (კახეთი)

ძნელია მოსვლა მატანში,
კისერ-სატეხი გზებია.
მაგრამ შენ, ჩვენო ტარტაროზ,
უფრო უარესიც მრგებია.
მოგვინახულე... საკბილოს
აქაც გიშოვით ბლომათა.
კოოპერატივი გეყოფა
საუზმედ, გასაძღომათა.
ფრთხილად იყავი მხოლოდ კი,
გაბრიელ შიგ ნოქარია.
თუ „სხვანაირად" შეგხედა,
თავში დაჰბერავს ქარია...
ისეთს გიყვირებს, რომ კედლებს
გაჰქონდეს სულ ზანზარია.
მაგრამ შენ თავსა უშველე,
ღია იქნება კარია.
გაიქეც, გადაირბინე,
გადაიარე ტყენია.
იქ მოგესმება ცულის ხმა,
იჭრება ბევრი ხენია.
ტყის მცველი კოტე არ უშლის,
მადლიერი ჰყავს ყველანი.
(რა ვუყოთ, მერე, თუ კოტემ
ტყეები შეათხელაო!).

წვერმწვეტი.

## ო ზ უ რ გ ე თ ი

### „ე პ ო"

**გალოზრესთან** თუ საქმე გაქვთ,
დაპირება იცის ბრტყელი,—
მაგრამ საქმის კეთებაზე,
არ ინძრევა მისი ხელი.
**ილარიონს**, თურმე ჩოთქზე
დაჰბნევია სადღაც „რუბლი".
კაცს დავთრები არევია,
მოღუშული აქვს მას შუბლი.
**ჩხაიძეს** კი ლაპარაკი
„ურჩევნია სულსა, გულსა"
ერთ დღეს ძალუძს ქვეყნის შექმნა
სიტყვით ენა მოქარგულსა.
„**გლავბუხს**" თურმე (მეც ქე ვნახე)
ჯეშვია მაღლა ცხვირი
და ფეხებზე არ ჰკიდია
მომხმარებელთ გასაჭირი.
**ვასაძე** კი გამგე არის,
კაცი არის ის მართალი,—
მაგრამ ზამთარს რად ვერ ხედავს?
რად არ მოაქვს მას ფართალი?
ვინ იყიდის ოდეკოლონს?
ვის რად უნდა: პუდრი, დუხი?
ამას სჯობს, რომ—მოიტანოს:
ფანელი და ნარმა რუხი.

იუმორტარკორი.

## სოფ. შუხუთი (ოზ. მაზ.)

ალმასკომში ანარიცხ ფულს
გაადინა ვილამც ქაფი,
შემყლაპველის შესაპყრობად
უკვე მზად აქვთ კოჭის ძაფი.
ბენო ბრალს სდებს დავითასა
და ბრალდებას თივთ არ იდებს;
დავითა კი ფულის შეჭმას
თვით ბენოზე მიუთითებს.
ბენომ—დათას, დათამ— ბენოს...
მეტი არსად მინახია....
(ალბად ეს თუ „დედა-ენის"
„თხამ შეჭამა ვენახია"!).

—:—

ეხლა ვნახოთ, ტარტაროზო,
ჩვენი სოფლის სამკითხველო.
ბარაქალა კი გეკუთვნის
შიგ გაზეთის, წამკითხველო.
მიკვირს, მაინც, როგორ შეჰქმნეს
იქ წესრიგი ასეთია:
მაგიდაზე დაფლეთილი
შარშანდელი გაზეთია.

„ზიკა".

## ღ ვ ა ბ ზ უ
### (ოზურგეთის მაზრა)

მინადორა ექიმბაში
ჩვენი თემის „ქირურგია".
ზოგს დაულპო თეძო-წელი,
ზოგს—გვერდები და ზურგია.
ხუთიოდე დააკოჭლა,
სამს გაუხმო ცალი ხელი.
(ვერ უშველა მას წამალმა,
თუმც წამალი იყო ცხელი).
სხვა წამლობაც იცის ბევრი...
მუცლის მოშლა ხომ ხშირია,—
(ამ საქმეში სპეცი არის)
წამალი კი—ნახშირია...
დააფრქვევს და გახძრავს წყალში,
შიგ ჩაურთავს ბალახ-ბულახს.
შეასმევს და მუცელს მოსწყვეტს,
ქალს კი არა, მგონი ულაყს.
ალმასკომის თავმჯდომარეს,
მის მეზობელს და ჩვენს ვანოს
დავავალოთ, რომ ეს ქალი
მოგვაშოროს... წაიყვანოს.

კაჟი.

## ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისის რკინის გზის
ქსენონს ბედი არ სწყალობს.
გეგმა გეგმით იცვლება
ავადმყოფობს და წვალობს.
ბიუჯეტი კლოზეტის
მიმოწერამ დაჰფარა.
ვერ იშოვეს ამდენხანს
საამისო აქ ფარა.
ვეჩე-პეჩე ქალალდებს
სწერენ წარა-მარადა.
ეს ამბავი გადიქცა
გამოუცნობ შარადათ.

რია.

# მუშკოოპში

„ფართო მასებისათვის წიგნების მიწოდების მიზნით, განზრახულია მუშკოოპმა აწარმოოს წიგნებით ვაჭრობა“
(ქრონიკიდან).

ნახ. დონის,




— დედი, საჭირო წიგნია, წაიღე!
— არა, შვილო, მაგ წიგნს არმინდა, საჩივრის წიგნი მომეცი...

## ივანეს სიძე, ანუ ღლაბუცაძეს „თვითკრიტიკა“

ნაწაბლარი ძლიერ ჩამორჩენილი სოფელია, არც ქალაქიდან ჩადიოდა იქ ვინმე. მართალია, ივანე დევიძეს ყავდა ტფილისელი სიძე, მაგრამ სოფელს მაინცდამაინც არც კი კადრულობდა.

კვირა დღე იყო, ნაწაბლარის გლეხებს კრება ჰქონდათ. ის იყო თავმჯდომარეს კრება უნდა გაეხსნა, რომ ივანემ წამოიძახა:

— აი, ჩემი სიძე მოდის, აწი რა გვიჭირს, სოფელს დაგვეხმარება და ხელი მიაშვირა მომავალ ალექსი ღლაბუცაძისაკენ, რომელიც ინდაურივით იბერებოდა და კისერზე ბანტს ხშირად ისწორებდა.

თავმჯდომარეს ძლიერ გაეხარდა ეს, ისარგებლა ამ შემთხვევით და დღის წესრიგში შეიტანა **„თვითკრიტიკის ლოზუნგის მნიშვნელობა“.**

— ღლაბუცაძეზე უკეთეს მომხსენებელს ვის ვიშოვი?!—სთქვა მან და სთხოვა ღლაბუცაძეს მოხსენება გაეკეთებია.

თავმჯდომარეს კი გაეხარდა ღლაბუცაძის ჩამოსვლა ტფილისიდან, მაგრამ ერთი თვით ღლაბუცაძის მდგომარეობა გეკითხათ?

— რა უნდა ვსთქვა, რაც არაფერი ვიცი, მაგრამ „მოვალე ვართ ქალაქიდან ჩამოსული სოფელს უნდა დავეხმაროთ“ — გაახსენდა ოდესღაც გაზეთში წაკითხული. მეტი რა ღონე იყო, კრება თვალებში შეყურებოდა ღლაბუცაძეს და უნდა ეთქვა რამე, მანაც დაიწყო:

— ტკბილო მეზობლებო, მე მოკლეთ ვიტყვი, რადგან და ვინაიდან თვითკრიტიკა მოითხოვს დროს არ დაკარგვას და ვალაკიტასთან, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. თვითკრიტიკა, ეს ის თვითკრიტიკაა, რომელიც თვითკრიტიკაც, რომა უნდა გავყოთ ორ სიტყვათ **თვით და 'კრიტიკა** თვით არის — მე, კრიტიკა მოგეხსენებათ, ალბათ, წაგიკითხავთ აკაკი წერეთელზე, 'კრიტიკა, თვითკრიტიკა, რადგან ორად იყოფა, ამიტომ ის ორნაირია: თვითკრიტიკა — ზევიდან და თვით კრიტიკა ქვევიდან.

უკეთ რომ გაიგოთ, მოვიყვან მაგალითს ჩემი ცხოვრებიდან. **მე, მე** თვით გაუკეთე ჩემს თავს კრიტიკა. ესე იგი, ჰოვახდინე თვითკრიტიკა, **ზევიდან** გასაგებია თუ არა, ტკბილო მეზობლებო.

— გასაგებია, გასაგები — შესძახეს ერთხმად. განსაკუთრებით კი სიმამრმა ივანემ.

მეორე, ეს არის თვითკრიტიკა ქვევიდან. აქაც ჩემი ცხოვრებიდან მოვიყვან მაგალითს:

„მე ტფილისში ამას წინად ჩავედი **ქვევით**, **„პადვალში“**, სამიკიტნოში. როცა ღვინო დავლიე, და გამოვძეხი, მერე ზევით ამოველი, რომ ფული არ მქონდა. მეც ავდექი და **ქვევიდან** ზევით ამოველი, არაფერი არ გადამიხდია, ისე. ამას ქვია თვითკრიტიკა, **ქვევიდან ზევით.**

ზნაჩიტ თვითკრიტიკა არის ისეთი თვითკრიტიკა, რომელი თვითკრიტიკაც ებრძვის პროტექციას, იცავს ნაცნობობას და უკეთებს აბლომაჟენიას, მართალია, არა ჩემს სიმამრს— დაათავა ღლაბუცაძემ და კმაყოფილი დაჯდა.

— პეტრე, რა თქვა ღლაბუცაძემ, კაცო, თუ იცი.

— მე ვერაფერი გავიგე, — ასეთი საუბრით დაიშალა კრება.

— დიდებული მოხსენება გააკეთე ამხანაგო ღლაბუცაძე,— აქედან საღლეგრძელოში კრების თავმჯდომარე ალექსას სიმამრისას მეორე დღეს,

სიმამრ ივანეს არაფერი გაეშვა სახლში დაუკლავი და ღლაბუცაძეც მადა გახსნილი ხეთქავდა სიმამრის დოვლათს. ვინ იცის, სანამ არ იქეიფებდა „ნასწავლი“ ტფილისელი ალექსა, რომ ამხანაგისაგან დეპეშა არ მიეღო — **ალექსა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიძია შენი საქმე და სამსახურიდან მოგხსნა, ასე რომ, შეგიძლია შვებულება განაგრძო.**

ალექსამ წაიკითხა დეპეშა და სტუმრების გასაგონათ ხმა - მაღლა სთქვა: „ჩორტ ემუ ზნაეტ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია უჩემოთ ვერ მუშაობს. დეპეშა მივიღე: ჩამოდი, თორემ უშენოთ საქმე ფუჭდებაო“, შიშით კი გული საგულიდან უვარდებოდა და გულის დასამშვიდებლათ გავიდა მეორე ოთახში.

ივანიკა.

# ქანდარაზე

## ბათუმის თეატრში

ნახ. დონის.



მოხუცი (ახალგაზრდას): —ყმაწვილო, არ გადავარდე, თორემ ქვემოდ ბილეთი სამი მანეთი ღირს!..

## ლაგოდეხი (კახეთი)

დაბა ლაგოდეხს ვეწვიოთ,
ვნახოთ სხვადასხვა დარგია.
მით შეგვეძლება გავიგოთ,
ჰათი ავი და კარგია.
პირველად „ეპო“-ს მივმართოთ
და ვკითხოთ რაც ნამდვილია.
(წარმოებისა უფროსი
გიორგი ყანჩაშვილია):
— ასე ამბობენ, გეთაყვა:
„ბუხჰალტერია ბრალშიო,
დავთრებში ჩუმად ეშმაკობს,
მიეცეს სამართალშიო.
როგორც შენ გამგე ამათი,
დროზე მიიღე ზომები,
გვართებს შენ მეტი სიფრთხილე,
ნურავის ეთვისტომები.
საკრედიტოში შევიდეთ,
არ დაგვიჯდება ძვირია.
იქაც შეგვხვდება საკბილო,
არ არის გასაკვირია.
ამათი გამგე გავიცნოთ,
იოსებ ბექაშვილია,
ბიუროკრატობს ბოლო დროს,
არ ახსოვს ვისი შვილია.
არც მილიცია დავტოვოთ,
იქაც მივიდეთ ფრთხილადა,
რაც ნაკლი ვნახოთ, ვამხილოდ
აშკარად, გულახდილადა.
ტელეფონით სდევს ყაჩაღებს:
—„თუ დაინახეთ მანდაო?
ტანისამოსი რა ეცვა?
ან სახით ვისა ჰგვანდაო?“.
სამი დღის შემდეგ გადასწყვეტს
წასვლას შემთხვევის ადგილზე,
გასწევენ ნელი ნაბიჯით,
დრკებიან ტურის კნავილზე.
ტარტაროზ, უფროსს უჩხვლიტე.
გააზრიალე ტანშია;
ხელი წაავლე ფეხებში,
ისროლე ალაზანშია.
შაბათ, ან კვირა საღამოს
იხსნება ჩვენი კლუბია, —
მაგრამ დარბაზში ვერ შეხვალ,
კარებში დიდი ჩხუბია.

ფალანგა.

## კინჩხას თემი

სინდის ვფიცავ, ტარტაროზო,
არავის ჰქონდა შური, ცინა.
(უტეხია ისონი
მან თუ რამე დაიჟინა).

ის გლეხკომის თავმჯდომარედ
სოფელ კინჩხას მოევლინა,
სამიკიტნო გაგვიხსნა და...
სამკითხველოს არ აქვს ბინა.

ორი თვის წინ სოფელ კინჩხას
სასადილო გაგვიფვინა,
ღვინო წინედ კარგი ჰქონდა,
ეხლა კი აქვს, როგორც ქინა.

თანხა თვითონ გამონახა,
სასადილოს გამგისთვინა,
სამოცდაათ პროცენტს აძლევს
(ყველა ყბედობს ამისთვინა).

ორი თვეა, რაც აქ ვაჭრობს
უპატრონოთ, და იწყინა
როცა ჰკითხეს, თუ პატენტმა
ამდენ ხანს რათ მიიძინა.

სად გლეხკომის სასადილო,
სად სიმღერა და ყიჟინა,
თვრამეტ თუმანს (მოსაგები),
დახლში მისცა მყუდრო ბინა.

ვის უნახავს მოგებანი
მცირე ხანში ეგზომ დიდი...
ან განაგე სამკითხველო,
ან აქედან მალე მიდი.

შიხლინსკი ბომბ.

## პატარა ჯიხაიში

ათეული წელი გადის
სოფელს წინსვლა არ ეტყობა,
მინგრეული ძველი სკოლა
აგერ-აგერ დაემხობა.

მუდამ არის: ჩხუბი, დავა,—
გაიტანონ უნდათ ლელო.
ყველას უნდა —მის ჭიშკართან
დადგას სკოლა - სამკითხველო.

საპატიმროს მოგაგონებთ
სამკითხველო დაკეტილი.
კაცი სოფელს აღარა ჰყავს
საქმიანი და კეთილი.

კოოპერატივს რა უშავს
თუ არ გაწყრა აწი „ღმერთი“
და სიფრთხილით უნდა ყოფნა,
აქაც არის ნაკლი ერთი.

ალმასკომო, მოგვეხმარე,
ცოტა მაინც აწიაო,
რა იქნება, რომ არ გვაკლდეს
ყურადღება პაწიაო.

უზრდელ სიტყვებს ხალხში ამბობს
ქეიფის დროს ჭაჭიკია.
ამ სენს თუ კი მოიშორებს
სხვაფრივ კარგი ბიჭი კია.

ლამაზ ქალებს ხელზე კოცნის
ასისთავი ლადიაო,
კარტს და ღვინოს ეტანება,
სხვა არარა სწადიაო.

სანი.

# ცნობათა მიღება



**ილია მის...** ყველაფერი, ბევრია ამ თქვენს წერილში: „**ქინძი, ოხრახუში, ნიახური, სტაფილო, ბოლოკი, ლობიო**“... მაგრამ შიგ არ ურევია მარილი და პილპილი. ამიტომ არის ასე უგემური.

**„ვაი, შენ დეიდუპე“-ს** (სვირი): — თქვენს წერილსაც სწორედ ასე შეემთხვა. გადარჩა მხოლოდ ეს ოთხი სტრიქონი:

საკრედიტოში შებრძანდი,
იქ ინახულე ჯუღელი.
მისგან ვართ ყველა ტანჯული,
კისერზე გვადგას უღელი.

**მარანჭალელს** (საჭილაო):—პირველად როცა წავიკითხეთ:

თემის თავმჯდომარედ
არის პარმენ ნინუა.
ხშირად უყვარს დახალევად
არაყი და „ნუნუა“,—ჩვენ ვიფიქრეთ რითმისათვის სდებდით ბრალს. მაგრამ, როცა ქვემოდ წავიკითხეთ:

ღამ-ღამობით სოფელში
დაძვრება ვით მელია,
არშიყობას ქალებში
პარმენ გადაელია,—დავრწმუნდით თქვენს სიმართლეში. (თუმცა-ღა პარმენ თავს იმართლებს: „**მე იმიტომ დავდივარ ღამ-ღამობით, რომ—ღამითაც კი თავს დავსტრიალებ და ვყარაულობ ჩემს თემს**“-ო).

**ქვიტირელ კერკეტს** (ქალე-კუთხე):—ტყვილად საყვედურობთ სამკითხველოზე:

როდესაც ვხედავთ ასეთსა
გული მწუხარედ ღონდება.
შიგ სიმღერაა ისეთი,
ოპერა მოგაგონდება.

თქვენ გგონიათ ოპერა (თეატრი) სამკითხველოზე ნაკლები კულტურული დაწესებულებაა?!

**ეკალს** (ხონი):—თქვენი მესტვირული ასე თავდება:

ტარტაროზ, აქ შევაჩერებ
დროებით ლექსის წერასა.
მომავლისა, ვეცდები
და მოგაწვდი ახალსა.

ჩვენ კი გირჩევდით—დროებით კი არა, სულ შეაჩეროთ ლექსის წერა.

**ხოხოზას** (ყულევი):—თქვენ გგონიათ, რომ მილიციამ არ იცის:

ძაძუ, დათიკო ქურდულად
დუქანში არაყს ჰყიდიან.
დავთარში თაფლს ნახულობენ,
როცა „ობისკზე“ მიდიან...

მოხერხებულნი არიან ძაძუ და დათიკო: დავთარში არაყის მაგიერ თაფლს სწერენ. ეჰ! ამას ადვილად მიხვდებოდა მილიცია, რომ მასაც არ უყვარდეს არაყის ხუხვა.

**„ზურ-ნას“** (საწირე):—აბა, რა ჩვენი (და მით უფრო რა შენი) საქმე, თუ:

ქმრიან ქალსა და ცოლიანს
შეუყვარდათ ერთმანეთი.
მოსე მაროს ეფიცება
შეგირთავო, თუ მწამს ღმერთი.

**ბახროს** (ქუთაისი):—თუ თქვენ ამ წერილზე გაგეცინათ,—ავად ყოფილხართ და მიმართეთ ფსიქიატრ ექიმს.

**გ. მ. ფ.-ს**:—სტუდენტი კაცი ყოფილხართ, და ამაზე უკეთესი წერა არ იცით?! ასეთ ლექსს ვარდენ ღვანკითელიც კი დასწერს!

აბა, ეს რა ლექსია?:

შუშების მტვრევა, გინება
მოვლენა ერთობ ხშირია.
ჩვენს სტუდენტობას აკლია
დღეს მხოლოდ მუშტი-კრივია.

(ამ ბედნიერებას ტარტაროზი თქვენ აღარ მოგაკლებდათ ამ ლექსის დაწერისათვის, რომ ეხლა მის ახლოს ყოთ).

**„შურა-ტარაკანა“-ს**:—თქვენი გოდება: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“, მართალია. ხოლო თუ თქვენ გგონიათ, რომ ამ ლექსის „ტარტაროზში“ დაბეჭდვა გაგაბედნიერებს, ვბეჭდავთ ამ სტრიქონებს:

ეჰ, ფულებო, რა დროს მიწიეთ ყინი?!
სახლში ვზივარ ,ლამის შემერყეს ტვინი.

ეს არ მოხდება: ტვინის შერყევიდან უზრუნველყოფილი ხართ თქვენ. მოიგონეთ (თუ თქვენ არ იცით, სხვებს ჰკითხეთ მოლას პასუხი, როცა მას უთხრეს შვილის ჭკუიდან შეშლის შესახებ).

**ნარს**: ახირებული პრეტენზიები გქონებიათ. მაშ როდის უნდა დაისვენონ? კვირაში ერთი დღე ყველას ეკუთვნის დასასვენებლად. ღმერთი ხომ ყოვლად ძლიერი კაცია, მაგრამ როცა იგი ქვეყანას ქმნიდა, ისე დაიღალა, რომ მეშვიდე დღეს დაისვენა... დაისვენა და მას შემდეგ სულ ისვენებს, რადგან სამუშაო აღარაფერი აქვს. (მეორე ქვეყანა რომ შექმნას, სულ ერთია, იმასაც ჩამოართმევენ). ასე და ამგვარად პროვინციელ მუშაკებსაც ეკუთვნის დასასვენებელი დღე.

**მტირალს**:—გვწერთ—გავუშვათ განცხადება, რომ თქვენ ჭკუა დაკარგეთ და ჩაითვალოს გაუქმებულად. ლევარსიმ ეჭვი შეიტანა ამ თქვენს განცხადებაში: „რაც არ ჰქონდა, რას დაკარგავდა... ანდა რაღა გაუქმება უნდა: არაფერიც რომ არ დაჰკარგოდა, მაინც გაუქმებულად ითვლებოდაო“.

**მაიმუნს** (სვირი):—თქვენი ლექსი სავსებით თქვენი ასლია:

ეხლა გთხოვ ყური დამიგდო,
გითხრა ჩვენი გასაჭირი.
ფეხადგილების გაზით
არ გვივარგა, ძმაო, ცხვირი.

და უსაყვედურებთ სანიტკომისიას, რომ ის ფეხსადგილებს არ ეკარებაო. თუ ასეთ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, როგორ უნდა გაეკაროს?! ცხვირი სანიტკომისიის წევრებსაც აქვთ.

**ვალპახს** (ქოლობანი და მარან-ჭალა): თუ:

დალაქი სანდრო მიქაძე
ტყავს აძრობს კარტით მუშტრებსა.
ამ ნიადაგზე იქ ხშირად
ფრიალი გააქვთ მუშტებსა,—ნამდვილი დალაქი ყოფილა: პარსავს როგორც წვერს, ისე ჯიბეს. და მუშტარი ყოველმხრივ გაწმენდილი ბრუნდება სახლში

ხოლო, რაც შეეხება მეჩექმე ჩოჩიას, რომ ის:

არ გამოდგება აღმზრდელად
ვინც თითონ აღსაზრდელია, — ამაში ჩვენ გეთანხმებით... ალბად კავშირიც დაგვეთანხმება და შეგირდს დაცავს.

... პოლიგრაფტრესტის ... სტამბა ... ქ. №...

# მთავარი ესაა?

ნახ. ნადარეიშვილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჰა, გამოსკვნილი ცხვირსახოცი, და არ დაგავიწყდეს გაზ. „მუშა“-ს და „ტარტაროზი“-ს გამოწერა